ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021–2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2022 წლის ---------

№ განკარგულების დანართი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში
2021–2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებები

№	საპროექტო წინადადებების დასახელება	საპროექტო დოკუ-მენტაციისა და საექს-პერტო მომსახურებ-ის შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა	პროექტის განხორ-ციელებისათვის გამოყოფილი თანხა
1.	ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირის პირველი შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		1,069,750.00
2.	ქალაქ ქუთაისში, მანდარიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		897,437.52
3.	ქალაქ ქუთაისში, ჯიბლაძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		290,996.49
4.	ქალაქ ქუთაისში, ხახანაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		224,106.98
5.	ქალაქ ქუთაისში, ლომოურის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		348,556.66
6.	ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის გამზირის ფასადების რეაბილიტაცია		662,387.00
7.	ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩის №9-დან გუგუნავას ქუჩის ცენტრა-ლურ მაგისტრალამდე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		130,508.70
8.	ქალაქ ქუთაისში, ცენტრალური სამუსიკო სკოლის სრული რეაბილი-ტაცია		1,500,000.00
9.	ქალაქ ქუთაისში, №17 სპორტული სკოლის სრული რეაბილიტაცია		2,851,301.00
10.	ქალაქ ქუთაისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის საგზაო ინფრასტრუქ-ტურის რეაბილიტაცია		700,000.00
11.	ქალაქ ქუთაისში, ლიფტების რეაბილიტაცია		200,000.00
12.	ქალაქ ქუთაისში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინფრასტრუქტუ-რის მოწესრიგების კაპიტალური ღონისძიებები (სახურავი, სადარბაზო, სარდაფები)		3,954,857.00
13.	ქალაქ ქუთაისში, ირ.აბაშიძის გამზირზე ე.წ. „კიკვიძის“ სკვერის რეაბი-ლიტაცია		2,255,404.0
14.	ქალაქ ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		946,194.25
15.	ქალაქ ქუთაისში, გუმათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ავალიანის ქუჩის № 14-ში მდებარე შენობის მეორე სართულისა და სახურავის რეაბილიტაცია		280,347.20
16.	ქალაქ ქუთაისში, № 4 სამუსიკო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობა და შიდა სივრცის რემონტი		266,880.31
17.	ქალაქ ქუთაისიში, გაფრინდაშვილის ქუჩის №10-სა და გაფრინდაშვილის ქუჩის მეოთხე ჩიხის №3 შორის ჩამოშლილი ფერდის გამაგრება		340,039.36

18,	ქალაქ ქუთაისში, ვანო სარაჯიშვილის და დავით ავალიანის ქუჩების საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		851,640,00
19,	ქალაქ ქუთაისში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		946,194.00
			18,716,598,70

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი